გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 36
(11 697)

16 - 19 მაისი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ქინქლაძე "ლივერპულში"?

როგორც საინფორმაციო საიტი „ტრაბლა ფუტფოლი" იუწყება, „ლივერპულის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს „ლუდნი ქაუნთის" ქართველ ლეგიონერთან – გიორგი ქინქლაძესთან. მოლაპარაკებათა შედეგი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ძოძუაშვილი პირველი წრის ბოლომდე დარჩება «სპარტაკ-ალანიაში»

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" წარმომქმნილი კონფლიქტის თაობაზე. ცნობილია, რომ კლუბის პრეზიდენტთან შატალოვთან უთანხმოება მოუვიდა და პოსტიდან გადადგომა დააპირეს მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა და გუნდის გენერალურმა დირექტორმა ბათირაზმა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ძოძუაშვილი რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლომდე დარჩება „სპარტაკ-ალანიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. შემდეგ კი სიტუაციასთან იმოქმედებს. რაც შეეხება ბითაროვს, მისი ბედი ჯერაც გაურკვეველია.

ნომერში წაიკითხავთ:

- „ბეკრმენი" შოტლანდიაში
- ღურმიშხან ცინცაძის მოგონებები
- ალეთეის პირიზი – ქართველ ახლარს
- 101 ვარჯიში ორჩი ფეხბურთელებისთვის
- უცხოეთის ფეხბურთის ამბები
- გარდაიცვალა ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი
- კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

ეს რა ჰქვიათ: ბიჭებო!

„პრეზიდენტის თასი" ისტორიაში გადადის

ქართველება ღარიბებმა აზერბაიჯანელ მილიონერებს „პრეზიდენტის თასი" ცხვირწინ აუცალეს

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის პრეზიდენტს, საქართველოს დიდ მეგობარს ჰაიდარ ალიევს, ამ დღეებში დაბადებიდან 80 წლისთავი შეუსრულდა. მთელი ქვეყანა ემზადებოდა ამ თარიღის აღსანიშნავად, თუმცა უეცარეს ზარზეიმით არ ჩაუვლია პრეზიდენტის ავადმყოფობის გამო. ზოგიერთი ღონისძიება, მათ შორის ცხენოსნობაში „პრეზიდენტის თასი" გათამაშება, ბაქოში მაინც ჩატარდა. შეჯიბრებას უშურველად აფინანსებდა მსხვილი ფინანსისტებისა და ბიზნესმენების გაერთიანება ფირმა „ბუნაო", რომელმაც პრეზიდენტის სამგზავრო ხარჯებიც გაიღო. ცხენოსნებს შორის ერთადერთი ქართველი ჯოკეი იყო ლევან ბერიძე, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვებით დაიბრუნა ფინანსისტების ჯილდო – 70-80-100 ათას დოლარს იხდის თითოეულ ცხენზე, იწვევენ ბიჭდრებსაც, ჩვენთან კი... ახლა იპოდრომზე დაბადებულ კვიცებს ხედნენ.

საქართველოდან ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საშინაო კონკურენციაში, ანუ თბილისის პირველობაში გამარჯვებულმა შპს „ლოკი ცალუს" მხედრებმა, მაგრამ ისინი ძირითადად ჭაბუკები არიან, შეშლებებმა კი გაერცელებული ანეგმონის

იხ. 22-ე გვ.

ფალავნები ფალავნობენ!...

უკეთ, ვიდრე საბჭოთა პერიოდში

თურქეთიდან დაბრუნდა თაისუფალი სტილის და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გუნდები. კ ბურსაში ჩატარდა სართაშირისა ტურნირი ერთდროულად ჭიდაობის ამ ორივე სახეობაში 12 კგ-ზე 400-მდე წარგზავნილია მონაწილეებით.

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოდან პირველობა მოიპოვეს მაღალ ზარქვეს (ორს, 58 კგ), ცოტნე ბარამიძემ (ცოტა, 63), და ნიკოლოზ გაგნიძემ (ორს, 76), მერაბ სამრაზიო ადგილზე გავიდნენ გია ჩიხლაძე (ხონი, ორს თან; 69) და ამირან მარკოშვილი (ორს, თან; 100). გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ირანი, 2. თურქეთი, 3. საქართველო. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელია თამაზ ბენდიანიშვილი.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ტურნირის სპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ლაშა გოგიტიძე (ქუთ. 46) და გურამ ფურსულაძე (ხათ, ორს თან, 100), მერაბ პრიშვორიცი გახდნენ: ილია გუდამაშვილი (თბ. 44) და რევაზ ლაში (ბორჯ. 46). გუნდური პირველობა: 1. თურქეთი, 2. ირანი, 3. საქართველო. ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვალა კრავეიშვილია.

„ბოლო წელებში, სადაც კი მიგიღიარ, ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში, ნებისმიერ ასაკში საქართველოს მოჭიდავეები სამეულში უეთუ აცილებენ ადგილს, მათ შორის, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებში. სსრ კავშირის პერიოდში კი მეოთხე ადგილს თუ სადმე დაეკუთხით, დიდ წარამატებად გვეთვლებოდა. როგორც ხედავთ, ჭიდაობაში ნამდვილად პროგრესის გზით მივდივართ". — თქვა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილმა.

თემურ ჯაჯვაძე

ახალგაზრდები მსოფლიო არენაზე გასასვლელად ემზადებიან

აზერბაიჯანის, საქართველოს, რუსეთის, თურქეთისა და ირანის მოჭიდავეთა მონაწილეობით ბაქოში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ხალიჩაზე ხუთი ქვეყნის გამოცვანეს. რუსეთიდან კი დაუსტენელები ცალკე წარმომადგენლებით ასპარეზობდნენ. ახე რომ, ტურნირი საკმაოდ სოლიდური იყო. არცაა გასაკვირი, რადგან ორ თვეში საორანტაში ჩატარდება მსოფლიოს წლევანდელი პირველობა ახალგაზრდებს შორის და ასეთი ტურნირი ხელსაყრელი იყო ძალების გამოსაცდელად.

ჩვენი გუნდი მწვრთნელების ნუგზარ სხეირეთლისა და ჯონ ლორიას ხელმძღვანელობით კარგად მომზადებული ჩავიდა ბაქოში. 60 კგ. წონით კატეგორიაში ორი ქართველი შეხვდა ერთმანეთს – კობა კაკალაძემ (ქუთაისი) მოუკო გიორგი ბალიაშვილს (ცორი), არჩილ ბარამიძეს (74, გორი) და ლერი ქეტაშვილს (84, თბილისი) ვეტერანის მეგალი ხვდომ წილად. მესამე პრიზიორები გახდნენ თბილისელები მალხაზ ქურდიანი (55), ალექსანდრე პატარქალიშვილი (74), ბელდუზ გაგაშელი (84) და ზვიად სისაური (120).

გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს მასპინძლების შემდეგ, ამასთან, საგრძნობი სხვაობით ჩამოიტოვეს თურქეთისა და ირანის გუნდები.

ცოტნე ბაძრაძე

პირველად სრული დელეგაციით



23-25 მაისს ბელგრად ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩემპიონატში ასეთი შემადგენლობით ისპარეზებს. 55 კგ – ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), 60 კგ – ლაშა ლომიძე (ოზურგეთი), 66 კგ–მანუჩარ კვირკველია (ოზურგეთი), 74 კგ – ბადრი ხასაია (თბილისი), 84 კგ – მურად ვახტანგაძე (ბათუმი), 96 კგ – რამაზ ნოზაძე (თბილისი), მძიმე წონა – მირიან გიორგაძე (თერჯოლა, თბილისი). გუნდის უფროსი მწვრთნელია ბეგი დარჩია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპორტული დელეგაცია პირველად მიემგზავრება ასეთ შეჯიბრებაზე სრული შემადგენლობით – ნაკრებ გუნდს ახლავს ექიმი გოგი ჭუმბურიძე, მსაჯები – ედიშერ მაჩაიძე და თემურ ყაზარაშვილი, მწვრთნელები – ოთარ ტატიშვილი, ჯონი რეხვიაშვილი, ტელევიზიონისტი – გურანდა გურასაშვილი. დელეგაციის ხელმძღვანელია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი.

ჯიუდოში ევროპის ჩემპიონატზე



14 მაისს თბილისიდან დიუსელდორფში გაფრინდნენ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატში. მთავარმა მწვრთნელმა ზოთა ბაბარელმა ჩემპიონატზე წაიყვანა ნუხრო ხერგიანი (60), დავით მარგოშვილი (66), დავით ქვაბუშილი (73), მინდია ბოდაველი (81), ზურაბ ზვიადური (90), ივერი ჯიქურაული (მძიმე) და რამაზ ხოხიშვილი (აბსოლუტური).

16-18 მაისს გაიმართება პირადი პირველობა, 19 მაისს კი გუნდური ასპარეზობა დაწყდება, ოღონდ აქ გამოველინებიან მხოლოდ ნახევარფინალისტები, ფინალური შეხვედრები კი წელუსლავ, დეკემბერში, ლონდონში გაიმართება.

ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც წარმატებით დაიწყეს სალიცენზიო ტურნირებში ასპარეზობა, დასკვნითი ეტაპი დიუსელდორფის წინ ლიანში გაიარეს თურქეთისა და საბერძნეთის ძიუდოისტებთან ერთად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა უცხო ქვეყნის ორმა ეროვნულმა ნაკრებმა ერთდროულად მოისურვა საქართველოს გუნდთან ერთად გაეკლო ბოლო შეკრება კონტინენტის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე.

კიბ-ბოძსინგი

გოჩა ფასეიშვილი კვლავ მსოფლიო ჩემპიონია

„ლელო" რამდენიმე თვის წინ იუწყებოდა, რომ კიბ-ბოქსინგის რუსეთის ოსტატ გოჩა ფასეიშვილს საერთაშორისო კიბ-ბოქსინგის ფედერაციის ვერსიით პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა.

და აი, ეს დღეც დადგა — ჩემპიონის ტიტულის დასაცავად ფასეიშვილს ორთაბრძოლა მოუწია იტალიელი წარმოშობის ამერიკელთან, ადრე (2000წ) მსოფლიო ჩემპიონთა მოფარეულთა შორის პაულ გუაირერესთან.

ეს შეხვედრა პირდაპირი ტელეგადაცემით მიმდინარეობდა (ნსგ-ს სპორტული არხით) მთელ აშშ-ში. ბრძოლა 8 რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველი პირველივე რაუნდიდან ქუღებით დიდ უპირატესობას ფლობდა და ბრძოლა მეხუთე რაუნდში შეწყდა ტექნიკური უპირატესობით მის სასარგებლოდ. გოჩა კვლავ მსოფლიო ჩემპიონია. შეხვედრა ორთაბრძოლა გ. ფასეიშვილ ივნისში ლას-ვეგასში ელოდება, სადაც შეიცდება კიბ-ბოქსინგის სხვა პრესტიჟულ საერთაშორისო ვერსიით (ესკ) მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

დავით ქავთარაძე



გოჩა ფასეიშვილი

ეს რა ჰქვენით, ბიჭებო!

ქართველმა ჟურნალისტმა ჯერკაისელებს შილინგარის პრეზიდენტის თასი ცხენით აჰყვანა

პირველი გვერდიდან

შიშით ბაქოში შვილების გამგზავრებაზე უარი განაცხადეს. ფაქტობრივად, მონაწილეობა ჩაშლის პირზე იყო, მაგრამ აზერბაიჯანის ფედერაციის დაინტერესებული თხოვნით, ჩვენმა ფედერაციამ შეჩჭიდრებულ ვაღებში, ასე ვთქვათ, ცაცტნოში დაიწყო ცხენ-ჭიდრების ახალი შემადგენლობისთვის საბუთების მომზადება.

... პროგრამაში იყო ოთხი მარშრუტი – ორი უფროსი და ორიც ახალგაზრდა ცხენებისთვის. ვინაიდან მოლდოველებმა ცხენების ჩაყვანა ვერ მოახერხეს, უფროს ასაკში მხოლოდ 4 მარანი აღმოჩნდა განაცხადში, აქედან – ორი ჩვენი (მხედრები – ლევან ფანცულაია და კახაბერ კოკიანი – ორივე შინაგანი კარიდან). ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობაში კი 12 ცხენ-მხედარი შეიკრიბა და ორგანიზატორებმა „პრეზიდენტის თასის" პრესტიჟის ასამაღლებლად მთავარი პრიზი სწორედ აქ გაათამაშეს. საქართველოდან სამი მხედარი – ზაზა ჩიტრეკაშვილი, ვალერი შელია და გიორგი სამხარაძე კერძო მფლობელთა ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობდნენ, მეოთხე მხედარი აქაც კახაბერ კოკიანი იყო.

№1 კონკურში – ძირითადი ცხენებისთვის პირველ ადგილზე ახლა უკვე აზერბაიჯანელი ვიქტორ სიჩაკი გავიდა, რომელიც მოლდაველთიდან გადაიყვანეს ბაქოში, მეორე ადგილი ხვდა ლევან ფანცულაიას, მესამე – დმიტრი უვაროვს (ბაქო). ახალგაზრდა ცხენებისთვის №2 კონკურში საქართველოდან ჩასულები პირველ სამეულში ვერ მოხვდნენ. №3 კონკური ძირითადი ცხენებისთვის დრამატულად წარმოართა – ჯერ სიჩაკი აერია მარშრუტი და მოხსნა, მერე ანალოგიური შეცდომისათვის ფინალისაა გამოეთიშა ასპარეზობას. საბოლოოდ გათამაშდა მხოლოდ ორი ადგილი. პირველობა ერგო უვაროვს, მეორე ადგილი - კოკიანს. მთავარი ასპარეზობა წინ იყო – №4 კონკური ახალგაზრდული ცხენებისთვის და „პრეზიდენტის

ჯილდოებება ქახაბერ კოკიანი

თასი". სამმა მხედარმა ჩიტრეკაშვილმა, რაშიც სამჯერმა და სიჩაკმა დისტანცია უშეცდომოდ გაიარეს. დამატებით ხტომებში ასევე უშეცდომოდ იასპარეზეს კონკურენტებმა, მაგრამ ყველაზე ნაკლები დრო – 37 წამი დახარჯა ქართველმა მხედარმა და „პრეზიდენტის თასიც" ჩვენების ნადავლი გახდა. ადგილები ასე განაწილდა: 1. ჩიტრეკაშვილი, 2. სამჯერი, 3. სიჩაკი.

ამრიგად, აზერბაიჯანის „პრეზიდენტის თასი" თბილისში ჩამოიტანეს და, ალბათ, სამუდამოდაც, რადგან ორგანიზატორებს საჯაროდ არ განუცხადებიათ ეს გათამაშება ერთჯერადი იყო თუ ტრადიციად დამკვიდრდება.

ცხადია, აზერბაიჯანელებს ძალიან სურდათ თავიანთი „პრეზიდენტის თასი" სხვას არ წაეღო, მაგრამ..

ცხადია, მასპინძლებმა მიულოცეს ჩვენებს წარმატება, თუმცა, ნაღვლიანი ხმითაც დასძინეს: „ეს რა ჰქენით, ბიჭებო!"

ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ჩვენი ყველა ცხენოსანი, მწვრთნელი და ფედერაციის თანამშრომელი საკუთარი ხარჯებით გაემგზავრნენ ბაქოში. ცხენების გადაყვანა-გადმოყვანის თანხაც მათ თავად გაიღეს.

თ. ჯაჯვაძე

„ბებრები" მოედანზე

სადაც კი რაგბის სეროზულად მიხედენ, იქ „ბებრებს". ტურნირებიც ჩვეულებრივი მოეწყო. ძალზე პოპულარულია, მაგალითად, მსოფლიოს პირველობა (ფესტივალი) სახელწოდებით — „ოქროს ბებრები".

პირველი ქართველი ვეტერანი მორაგბეები XX საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდნენ (რაგბის ისტორია კი 60-იან წლებში დაიწყო) და იმთავითვე დაფიქირდა ვეტერანთა შეკიბრებების გამართვა იყო უცხო გუნდებთან მოპოვებული მრავალი გამარჯვებებიც.

მსოფლიოს პირველობებზე (ფესტივალებზე) მონაწილეობის მიღებას კი ვერა და ვერ ახერხებენ. ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო...

სამაგიეროდ, შინაურ ტურნირებზე ისინიც აღვილად ეხობნენ ერთმანეთს. გაიხსენეს გარდაცვლილი მორაგბეები: შევაზ კოღუა, ბიძინა პეტრაიშვილი, გია ჩეჩელაშვილი, გაათამაშეს მათი სახელობის პრიზები...

შემოდგომაზე კი საქართველოში ვეტერან მორაგბეთა საერთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს. ამ ღონისძიების მაღალ დონეზე მოწყობისათვის ყველა ქართველი მორაგბის ერთად ყოფნაა საჭირო, რათა ტურნირი რაგბის უეშმარიტ ზეიმად გადაიქცეს.

ბესიკ ბაბაროშვილი

50 წლის წინათ...

● **ხაშური.** ხაშურის და ბორჯომის რაიონების სპორტსკოლების ჯგუფ და გოგონათა გუნდების ამხანაგურ შეჯიბრებაში წარმატება წილად ხვდათ ხაშურელებს.

● **ზუგდიდი.** ქალაქის სტადიონზე ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილმამრეი „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს". ფეხბურთელები წარმატება წილად ხვდათ მასპინძლებს 6-1.

● **ჭიათურა.** კალათბურთში ქალაქის თასის გათამაშებაში პირველობა არავის დაუთმო სპორტსკოლის გუნდმა. ჯილრაკში კი პირველი-მერიც ადგილები გაინაწილეს გ. ძინძიბაძემ და მ. ტარსაიძემ.

● **ყვარელი.** ეკეთა საშუალო სკოლის ბაზაზე ჩატარდა რაიონის პირველობა ფრენბურთისა და კალათბურთში. კალათბურთში ეკეთა შორის მასპინძლებმა იმარჯვეს, ქალთა შორის კი – შილდის სკოლის მოსწავლეებმა.

„მიმინო" ერთი სკოლიდან აფრინდა

ჯიპის ჭიპზე, თვალისაზღ საფეხბურთო მოედანზე 1995 წლიანთა ტურნირი ჩატარდა წარსულში „დინამოს" დუბლშემადგენლობისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატის გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნის პრიზზე. კლუბ ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ეგიდით გაიმართა 12 გუნდის მონაწილეობით. ორ ჯგუფ-ეულში შეხვედრების შემდეგ გაირკვა იმათი ვინაობა, ვინც მთავარი პრიზისთვის ბრძოლას განაგრძობდა.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდა „მორკინალი" და „საბურთალო". მატჩი მოიგო „მორკინალმა" 4-0. ხოლო თუ ვინ იქნებოდა გამარჯვებული „მიმინო" (174-ე სკოლის გუნდი) — „ორაოს" მატჩს უნდა გამოეკვლინა. ღირსეულ მეტოქეთა ჰიდილში 2-0 გაიმარჯვა „მიმინომ" (მწვრთნელები — მიხეილ მოსიაშვილი და ჯონი ტილავიანი). მთავარი პრიზი გურამ ლორთქიფანიძის დედამ გადასცა „მიმინოს". გურამი მეცარე იყო და სპეციალური პრიზი, რომელიც ტურნირის რჩეული მეკარისთვის იყო დაწესებული, წილად ხვდა ლევან ყურაშვილს, საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ალეკო მიქირტიანი. ორივე ჯგუფი „მიმინოს" გუნდის თოთმაშია.

ბაშა ნემციძე

თბილისის 174-ე სკოლის გუნდი „მიმინო"

ოთარ ქორქია - 80

ბატონო ოთარ!

დეკანოზობაში მყოფი აფხაზეთის სპორტული საზოგადოებრიობისგან მაქეს დაფიცებული გულითადად მოგილოცოთ დაბადებიდან 80 და სპორტული მოღვაწეობის 45 წლისთავი.

თქვენ, ბატონო ოთარ, ქართული კალათბურთის ლეგენდა ბრძანდებით და თქვენმა მაღალმა ოსტატობამ და ავტორიტეტმა, სრულიად საქართველოში სპორტის ეს სახეობა უფრო პოპულარული გახადა, თქვენ თაობებისთვის დარჩით მისაბაძი თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამდელშვილი, სპორტსმენი, მწვრთნელი და პიროვნება.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენს თავს რომ ტრაგედია არ დატრიალებულიყო, აფხაზეთში, რომელთანაც თქვენ ნათესაური ურთიერთობაც გაგაკშირებდათ, საზეიმო აღინიშნებოდა თქვენი ბრწყინვალე იუბილე.

ყოდვ ერთხელ გილოცავთ!

ღრმა პატივისცემით

ამირან ზუხბაია,
აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

ოთარ ქორქიას

გვახსოვხარ და აბა მითხარ, ხხვა შენსაეით ვინ იბრძოლა,
ისე მარჯვედ კალათაში ბურთს მიზანში ვინ ისროლა,
საცრის ტოლა თვალებიდან რომ გეციოდა ნაპერწკლები,
მოედანზე სპორტულ ცეცხლის მართლაც ენებს აკვიხედი.
მერე რაკ თუ ჟამთა სვლამ შეგილება თეთრად თმები,
ისევ ისე გეყოყარხარ და ისევ ტკბილად გეკონდება.
სიბერისთვის არ გეუთმობი, აბა, როგორ გაგიმეტოთ,
ჩვენი სპორტის მოამაგეც საამაყო ოთარ ბეგო.

ვალერიან მამუკელაშვილი



ბიძინა გაზიაშვილის კიდევ ერთი აღიარება

გამონაკლისი მით უფრო მიამხიბლავია, როცა ის ღირსეული პიროვნების სახელს უკავშირებს. ბიძინა გაზიაშვილს, რომელმაც მთელი ცხოვრება ჭიდაობას და მოკიდავეთა აღზრდას მიუძღვნა, არანაირი ტიტული არ აკლია (XX საუკუნის საუკეთესო წვრთნელიცაა), მაგრამ ის, რომ ბიჭუას საერთაშორისო ფედერაციამ ამ ღვაწლმოსილ კაცს მუშაიდე დანი მიანიჭა, ბევრის მთქნელი და ძალზე ზნეშეფერილადაც, თუკი ოსტატობის დონის ამ უმაღლეს ხარისხს გავითვალისწინებთ.

დაბადებიდან 75 წლის იუბილე ბიძინა გაზიაშვილმა თავის ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან და ყოფილ შეგირდებთან ერთად საზეიმოდ, კახეთში, მშობლიურ სოფელ ზემო მაჩახაში აღნიშნა.

დიდ ჯოს მიეძღვნა

13 მაისი მსოფლიო კრივის სამყაროში გამოცხადებული კრივის დღესასწაულად, ვინაიდან ამ დღესაა დაბადებული კრივში ერთადერთი 12-გზის მსოფლიო ჩემპიონი, მძიმეწონიანი მოკრივე — ლეგენდა ჯო ლუისი.

სწორედ ამ დღეს, ვერის ბაღში, საქართველოს პროფკავშირების „შეკიდების" სასპორტო ოლიმპიური რეზერვის კრივის სკოლაში ჩატარდა შეჯიბრება „ლიო რინგი", რომელიც დიდ ჯოს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 3 თბილისის ნორჩი მოკრივეები. გამარჯვებულებს და დამარცხებულებს გადაეცათ სამახსოვრო ფეტრინგი და სიგელები წარჩერით. „ეძღვნება ჯო ლუისს".

თავი ინახლეს ბ. როგავამ, დ. ტაკაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, ი. ჩიხლაძემ, რ. გეფორქიანმა, ი. ანანიძემ, ე. ეგიაზარიანმა, გ. გეფორქიანმა, ე. მინასიანმა და დ. ბასილაშვილმა.

ლევან ქავთარაძე

შეჯიბრების მთავარი მსაჯი; მსოფლიო სამოყვარულო კრივის ასოციაციის რეგიონი, კრივის ოლიმპიური სპორტსკოლის დირექტორი.

ზოგიერთი რამ ფეხბურთის მიღმა

ამორჩეული

ერევანში, „რაზდანის“ სტადიონზე თბილისის დინამოელის მორიგი შეხვედრა აქვთ. „რაზდანის“ სტადიონზე ჩემს გვერდით ვიტალი დარასელია იჯდა. მას თამაში არ შეეძლო, ფეხის ტრავმა ჰქონდა. როგორც ყოველთვის, ეს შეხვედრაც დაბაბულად წარიმართა. ერთ მომენტში მოედანზე ფეხბურთელები წაეკონკალნენ. ვიტალი დარასელიამ ტრიბუნებიდან მათ მხარი აუბა და მიიპანა ხე გემნიაით, მაგათ არაფერი არ დაუთმოთო. როდესაც თამაში დამთავრდა, ვილაც ტელევიზიის ფორმით ვიტალის სწვდა და ლოყაზე სილა გაარტყა. დარტყმა ასე არ უნდოდა და ვიტალი დარასელიამ უცბად ისეთი უთავბოლო, იქვე სარბენ ბილიკზე გაშხლართა. მფსვე მილიციელთა მთელი ჯგუფი იქ გაჩნდა. მე ეს ამბავი სასწრაფოდ ნოდარ ახალკაცს შევატყობინე და უკან გავბრუნდი. უცბად ჩვენთან სპორტკომპლექტის თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ ებრალიძე გაჩნდა და მშვიდობიანი სომხეთით ყველა დააშშინება. ბოლოს გასახდელში „არარატის“ უფროსი მწვრთნელი არცად ანდრიასიანი შემოდგა და მომზდარი ინციდენტის გამო ბოდიში მოიხადა. იმ საღამოს სომხებმა სასტიკი კორტეგით სახლისკენ ჩამოგვაქციეს და შემდეგი წარმატება გვისურვეს.

უშანგი სალდაძე

XXX

19... წელია. ერევანში სათამაშოდ ბიჭები კარგ ხასიათზე ჩავიდნენ. თამაში ორმხრივი ინტერშებით დაიწყო. სულ მალე ანგარიში 1-1 გახდა. ერთ მომენტში მსაჭმა თენგიზ სულკავლიძეს ყვითელი ბარათი აჩვენა. ამაზეც მსაჭს ტაში დაუკრა ისე, როგორც მის მეგობარს რამაზ შენგელაიას ყველი ბურთის გატანაზე აჭილდოებდა. უცბად მსაჭმა ყვითელი ბარათი გააფრთხო და თენგიზ სულკავლიძე (ჯოპა) სათადარიგოთა სკამზე გაამწკრივა. ამ დროს მოედანზე უცნაური რამ მოხდა, თითქმის ყველა ფეხბურთელი სარბენ ბილიკთან მოვიდა და თქვეს: „ფარანდაზიჩ რა ვქნათო“, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ნოდარმა წყნარად უპასუხა: რაც შეიძლება სწრაფად თამაშეთო. სულ მალე ჩვენმა ბიჭებმა ერევნელებს, რომ იტყოან, ბურთი „დაუშალეს“ და თან სამი გოლი გაუტანეს. მერიე ტაიშნი, უცბო პიროვნებას, „რაზდანის“ სტადიონზე რომ შეეხედა, აუცილებლად იფიქრებდა, ალბათ ამბავმას სეტყვამ გადაუარა და ეს ზღვა ხალხი თავშესაფარში გაიქცაო, ისე იყო დაცარიელებული სტადიონი. სათადარიგოთა სკამზე თენგიზ სულკავლიძე მორცხვად იჯდა და თან ცალი თვალით ნოდარ ახალკაცისკენ იხედებოდა. დრო და დრო პირველისაც იწერდა. თამაშის მიწურულს ნოდარ ახალკაცმა მას უთხრა: ჯოპა, მე შენ აქ სალიკვიდედ წამოგიყვანე თუ ფეხბურთის სათამაშოდო. ამის მეტი საყვედური ან შენიშვნა იმ თამაშის შესახებ თენგიზ სულკავლიძისათვის ნოდარ ახალკაცს არ უთქვამს.

XXX

1956 წლის საფეხბურთო სეზონია. დიდმა ანდრო ჟორდანიამ და ზურაბ ჭკონიამ ქუთაისში საინტერესო გუნდი ჩამოაყალიბეს, რომელიც მაშინდელ „ბ“ კლასში გამოდიოდნენ. ქუთაისური გუნდში თამაშობდნენ: ანზორ კვაჭაძე, ლევან ჟორდანია, სარქის ოვეიანი, ზაურ გიხსარაშვილი, პეტრია შვილი, გომელაური, კეკახე და სხვები. რა თქმა უნდა, ყველა არ მახსოვს. მორიგ შეხვედრაში ქუთაისურები ერევნელ ფეხბურთელებს ხვდებოდნენ. თამაში საინტერესოდ წარიმართა. ერევნელთა შორის გამორჩეული ახალგაზრდა ცენტრფორვარდი კანენიკოვი. მისი აჭრეობით სომეხმა ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 2-0. მერიე ტაიმის დასაწყისში ქუთაისურებმა ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ მალე სტადიონზე მოხდა არასასიამოვნო ფაქტი: მეკარესთან შეჯახებისას სტუმრათა ცენტრფორვარიდან ფეხი მოიტეხა. ამის შემდეგ მას ფეხბურთი აღარ უთამაშია. მატჩი დამთავრდა ფრედ - 2-2. ამ თამაშის შემდეგ სარქის ოვეიანმა დატოვა ქუთაისი და ერევანში გადაბარდება. სეზონის ბოლოს ერევანში სომეხმა ფეხბურთელმა ისეთი მძიმე ტრავმა მიიღნა შენეხებულად მგალე ანზორ კვაჭაძეს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ბაკში და მისი შესაფერი ფეხბურთი ვერ ითამაშა. არა და მას დიდ მომავალს წუწნასწარმეტყველებდნენ ცნობილი სპეციალისტები.

XXX

1962 წლის სექტემბრის თვეა. ქუთაისის ტორპედო შინ კუთაისშეელებს ხვდება. ქუთაისურთა დამრიგებელი უშანგი სალდაძეა. ორივე გუნდს მოგება სჭირდება, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებს. თამაშის დრო იწურება, მოულოდნელად უშანგი სალდაძე სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ლევან ჟორდანიას ეუბნება: ზვილო ლეო, გაიხადე, შეცვლაზე შედი, პენალტი დაინიშნება და შენ უნდა დაარტყა. ლევან ჟორდანიას მოედანზე გასვლისთანავე, კუთხეშეელთა სჯარიმე მოედანზე რამდენიმე ქუთაისელი წაიქცა თუ წააქციეს, ღმერთმა უწყის. მსაჭმა კი დრო იხელთა და სტუმრების კარის პენალტი დანიშნა. ლევან ჟორდანიამ იგი უზადოდ შეასრულა. მერიე დილით ქუთაისურთა სათადარიგო შემადგენლობა

ანდრო ჟორდანია

გიგა ნორაკიძის თაყვანისმცემლები ლენინგრადში „დინამოსთან“ სათამაშოდ გაფრინდა. ძირითადი შემადგენლობა კი ტაშკენტში გაემგზავრა. ასე დაუფასა უშანგი სალდაძემ ლევან ჟორდანიას უკანასკნელ წუთზე მოპოვებული ორი ქულა.

XXX

1966 წლის გიორგობისთვეში, საგარეულოს საბელმწიფო მუზეუმის დირექციის დავალებით, ზურაბ ნიკარაძესთან ერთად, ბინაზე ვეუბნებით პრაისკეტზე ანდრო ჟორდანიას ვეწვევ ჩვენი საქმე, რომ მოვიჩინით, შეეძლოდ თუ რამდენიმე კითხვით მივმართე. ბატონო ანდრო, ვინ მოგაწინათ თქვენ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად? ბნელი საღმწილია — მპასუხობა, — ბეგერს პელე მიაჩნია, ბეგერსაც დი სტეფანო, ბეგერი კიდევ რუსებისაგან დაზაგრულ ედუარდ სტრელცოვს აღიარებს. მართალია, მსოფლიომ დიდი ტალანტი დაკარგა, მაგრამ რა ჩვენი ბრალია. ჩემთვის ფეხბურთის მეფე ბობის ჰიჯბობა. ახლა რას ფიქრობს, ეს ჩემი საქმე არ არის. ის ფეხბურთელად დაიბადა და დიდი ფეხბურთი ითამაშა.

XXX

ბატონო ანდრო, ვინ მოგაჩნიათ, თქვენი საქმის გამგრძელებლად სამწვრთნელო ასპარეზზე ქართველთაგან? ქიქნი თითზე ჩამოსათვლელებია: ალიოშა კოტრიკაძე, გიგა ნორაკიძე, ედუარდ ეკუპაკი და ნოდარ ახალკაცი. ვინმეს ხომ არ დაამტკიცებით? რას ბრძანებთ, რომ ვინმე ყოფილიყო ხომ გეტყოდით.

XXX

ამბობენ, ბატონ ანდრო ჟორდანიას მაღალი საინტერესო ხალხთან აქვს კავშირიო, გვაპატიეთ, მაგრამ ხომ არ დაასახელებთ? სიამოვნებით, ესაა ჩემი განუყრელი სამჭადაკო. ისე ცოტანი ვართ, მაგრამ კარგები. შერმადინ სიხარულიძე, ბუბა? ხოტივარი, პაპუ ჟორდანია, ვანო ურუშაძე და ვიქტორ შარაშენიძე.

XXX

რა გიყვართ ცხოვრებაში თქვენი სპეციალობის გარდა: ჩემს ვიწრო სამეგობრო წრეში ქეიფი, ოხუნჯობა და მოლხენა. რა კერძები მოგწონთ? რა თქმა უნდა, ინდაურის საცივი, ღორნენ მერიე დღეს ნაკურჩხალზე გაფიცხებული ღორმით, ქეის კაცზე გამომცხვარი ხაჭაპური, ტურული ღვეზელი, ლაბარში გამომცხვარი კვერი და ნიგვზიანი ხარჩო. ღვინო მოყვარე ხართ? ვინ და ჩვენებური სანთლის არაყი. მჭიდრო გემოვნება თუ არა!

XXX

ბატონო ანდრო, როგორი უნდა იყოს ადამიანი თქვენი შეხედულებით? უპირველეს ყოვლისა წესიერი, პატიოსანი, კაცთმოყვარე, მშრომელი, ენერგიული და, რაც მთავარია, მშობელი დედა ისე უნდა უყვარეს, როგორც მე მიყვარდა ჩემი საყვარელი დედა.

XXX

და ბოლოს, ბატონო ანდრო, თუ შეიძლება, ასეთი კითხვა გვაქვს, რითი ბრძანდებით ქმაყოფილი ან გულნაკლული განვლილ გზაზე? ქმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩემი შვენებული ცხოვრება ქართულ ფეხბურთს, ე.ი. ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას შეეწირე. ხინჯი მაქვს გულში იმიტომ, რომ ვერც ჩემპიონობა და ვერც თასი ვერ მოვიპოვეთ. ისე, მართალი გითხრათ, ქართულ გატეხლობას რა ვუთხრა, თორემ 1947 წელს თასი ნამდვილად არ გვეშენებოდა ალებული? ეს მაწერია მე ჩემს რუსეულად დაწერილ დღიურში და ალბათ ვინმე ოფესლე გამოაქვეყნებს ეი ხალხი გაიგებს რა მოხდა.

ჯუმბერ ნაცვლიშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო„ №35)

45 წელიწადი საფეხბურთო მიდრო

დღეს, ერთ მეტად საინტერესო სამსაო ბიოგრაფიის კაცზე გიამბობთ. ადამიანი, რომელიც 45 წლის ასაკში თავს ანებებს ფეხბურთის მსაობას, გასაკვირი არ არის. მაგრამ ასაკი კი არა, რომ 45 წელიწადი მოედანზე თვალებაუხამხამებლად დარბის და ბურთს მზერას არ აშორებს, მართლაც გმირობას უდრის. რა ნერვებმა გაუძლოს, რა ნებისყოფის პატრონი ყოფილა ო, იტყვის მაყანი. მაგრამ ფაქტი ფაქტია. სამი თაობის მომსწრე ფეხბურთის მსაჯს უშანგი ფურცლაძეს კი ეს სულაც არ უკვირს. 67 წელს გადაბიჯებული კაცად ახალგაზრდული ენერგიით იღვწის. „ნება რომ დამთონ, ახლაც უარს არ ვიტყვი, ზოგიერთზე უკეთ მაინც ვიმსაჯები“ - იტყვის ხოლმე.

დაიბადა თბილისში 1935 წელს. 1961 წელს ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა. იყო თეთრიწყაროს „გარისის“, 1964-65 წლებში კი მცხეთის არმაზის უფროსი მწვრთნელი. 1967-69 წლებში გარდაბანში „შრომითი რეზერვების“ უფროსი მწვრთნელად მუშაობდა. 1969-83 წლებში საქართველოს სპორტკომიტეტში მსაობისა ფეხბურთის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზეა. 1984-89 წლებში სპორტსზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთის ინსტრუქტორად მუშაობს. ამის შემდეგ საფეხბურთო სკოლა „ავზაში“ მეთოდურ მუშაობას უძღვება. 1992-98 წლებში სფფ-ს მსაჯთა კომიტეტის ინსპექტორია. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სატიტო წოდება. მუშაობის პარალელურად 1955-90 წლებში საფეხბურთო მატჩებს მსაობს. მათ შორის 43 წლის განმავლობაში ემსაურებოდა საბჭოთა კავშირის პირველობის „ბ“ კლასის, პირველი და უმაღლესი ლიგის მატჩებს. უშ. ფურცელაძემ ისე ჩამოთვლა სამსაო კარიერა, მსაჯის მაღალი წოდებები არ მიუღია. მაგრამ, ვისაც ის მოედანზე ახსოვს, ახალგაზრდა მსაჯის დამრიგებელი და აღმზრდელი. მოცელილ და უსაქმოს ვერც ახლა ნახავთ. უშუშვიარ პენსიონერს სფფ-ს მსაოა ასოციაციასთან ქალაქი არც ამჟამად გაუწყდება. სპართველოს პირველობაზე კლუკ კომისრის როლში გვეკონება...

მარცხნიდან - უშანგი ფურცელაძე, ვეღიდი მამიაშვილი და გურამ სეფიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავისათვის

რუსუდანას შეხვედა ვეტერანი მსაჯი ელდარ ჩიფჩიფური

სკოლა „ავზაში“ მეთოდურ მუშაობას ეძღვება. 1992-98 წლებში სფფ-ს მსაჯთა კომიტეტის ინსპექტორია. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სატიტო წოდება. მუშაობის პარალელურად 1955-90 წლებში საფეხბურთო მატჩებს მსაობს. მათ შორის 43 წლის განმავლობაში ემსაურებოდა საბჭოთა კავშირის პირველობის „ბ“ კლასის, პირველი და უმაღლესი ლიგის მატჩებს. უშ. ფურცელაძემ ისე ჩამოთვლა სამსაო კარიერა, მსაჯის მაღალი წოდებები არ მიუღია. მაგრამ, ვისაც ის მოედანზე ახსოვს, ახალგაზრდა მსაჯის დამრიგებელი და აღმზრდელი. მოცელილ და უსაქმოს ვერც ახლა ნახავთ. უშუშვიარ პენსიონერს სფფ-ს მსაოა ასოციაციასთან ქალაქი არც ამჟამად გაუწყდება. სპართველოს პირველობაზე კლუკ კომისრის როლში გვეკონება...

სეუ-ს სბუმრობამ საგარეჯოელები გააცხარა

ილია ჭავჭავაძის სახელობის სპართველოს ეროვნული უნივერსიტეტი — სეუ, სწორედ ასე მოიხსენიებენ სტუდენტები თავიანთ მშობლიურ უნივერსიტეტს და ამაყე შეახმებით ჭამაობენ ფაქტი თავიანთ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს, რომელიც რეგიონის — ბატონ გია კავიელაშვილის დიდი მონდომებითია და მხარდაჭერით შეიქმნა. პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, მიუხედავად მისი ხანმოკლე ბიოგრაფიისა, უკვე მოიგეს, მაგრამ მერე სტუმართა თანმხლები სტუდენტი ფანების ორგანიზებულმა მხარდაჭერამ იმძლავრა, სეუ-ს სტუდენტებს ალა შეემტკა და გარეკანებულს გუნდმა ოთხი გოლი გაუტანა, რასაც მერე სეუ-ს კარში გატანილი ორი გოლიც მოჰყვა და ადგილობრივმა არბიტრმა, რომელიც სხვათა შორის ძალიან კორექტულად და ობიექტურად მსაობდა, მეგობრული ფრე 4-4 დაათვლინა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის შემდეგ, საგარეჯოელთა ორი პერსპექტიული ფეხბურთელი, სეუ-ს რეკტორატმა, უნივერსიტეტში მიიწვია სასწავლებლად შესაგებად პირობებით.

მორგი შეხვედრები სეუ-ს, მისაში ბოლნისში და გურჯაანში აქვს დაგეგმილი.

დარწმუნებული ვართ, ამაგდარი რეკტორატი, რომელსაც კარადე ესმის სპორტის როლი ახალგაზრდების აღზრდაში, იქაც იმოვის ნიჭიერ ბიჭებს და ფეხბურთთან ერთად სწავლაშიც შეუწყობს ხელს.

სწავლითა და სპორტით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ვაცნობებთ, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის სპართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, შერატ კოსტავას ქ. №5. (მეტრო „რუსთაველის“ მოპირდაპირე მხარეს).

ლაშა გოგია

სურათზე: სეუ-ს გუნდი საგარეჯოელ ფეხბურთელებთან ერთად

თუ სხვებად ვერ მოახერხეთ „ლელოს“ შეძენა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოიკითხოთ გამომცემლობა „საბჭოლოს“ (ორბაბაშვილის ქ.14) წინ, გაბეჭდილ ეგზემპლარებს.

ანონსი

უმაღლესი ლიგა

ჩემპიონატი თავდება და არადერია იმაში გასაკვირი, გარშემო ვითარება რომ იძაბება.

პირველობისთვის მებრძოლი ოთხეულისთვის, თუ ლიგაში დარჩენის მოსურნეთათვის გადამწყვეტი მომენტი დგება, ან ყველაფერი, ან არაფერი. ასეთია გამარჯვებისკენ მიმავალი გზის სპორტული ლოგიკა. მერეც ტური შაბათის მატჩებით იწყება. ფინიშის სწორზე ჭეღები ყველას სჭირდება, ლიდერსაც და აუტსიდერსაც, ამიტომ, რომელიმე მატჩის გამორჩენა ძნელია. ტურის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. თბილისში ორი შეხვედრაა. „დინამო" კოლებს უმასპინძლებს, „ლოკომოტივი" — ვიტესებს. კიდევ ერთმა დედაქალაქურმა დერბიმ შეიძლება ბევრი რამ განსაზღვროს და გადაწყვიტოს. ვაცში, მართლაც უმთავრესი შეკრინება. მთლიანად მერე ტურის მატჩთა განრიგი კი ასეთია:

I-VI ადგილებისათვის

17 მაისი

დინამო (თბ) — ლოკომოტივი 1913

18 მაისი

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

ტორპედო — სიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ვიტ ჯორჯია	7	4	2	1	7-3	39
დინამო (თბ)	7	3	2	2	8-5	39
ლოკომოტივი	7	4	0	3	14-6	37
ტორპედო	7	3	2	2	7-3	37
სიონი	7	2	1	4	5-10	22
ლოკომოტივი13	7	0	3	4	0-14	18

VII –XII ადგილებისათვის

17 მაისი

დილა-მერანი-ოლიმპი

მეტალურგი — მილანი

დინამო (ბთ) — გორდა

დილა	7	4	2	1	9-2	25
მერანი-ოლიმპი	7	3	2	2	12-3	23
დინამო (ბთ)	7	3	2	2	5-3	21
გორდა	7	3	3	1	6-2	19
მილანი	7	2	3	2	5-4	16
მეტალურგი	7	0	0	7	0-23	10

ვარჯიში 93

ამოცანა. სწრაფი რეაქცია, სპეციალური სიმარდე, ბურთის მოგერიებისა და დაკერის ტექნიკა.

ორგანიზაცია და შინაარსი. მეკარე დგება რბილ საფარზე 3-5 მეტრში სახით კედლისკენ ან საწვრთნელი კედლისკენ, რომელზეც გამოსახულია ფეხბურთის კარი. მწვრთნელი ან მინდერის მოთამაშე დგას მეკარის უკან, ცოტა განზე და ბურთს დარტყმით ან კედელზე გდების შედეგად ასხლეტით აწოდებს მეკარეს. მეკარე ბურთს ხელავს მოგვიანებით და იძულებულია გამოავლინოს აუცილებელი რეაქცია ბურთზე დროული ნახტომისა და დაჭერისათვის. ამის შემდეგ ის აბრუნებს ბურთს გვარიანით და იქვე ემზადება შემდეგი დარტყმის მოსაგერიებლად.

ინვენტარი. ერთი-ორი ბურთი, მკერივი სიბრტყე (კედელი), რაც უზრუნველყოფს ბურთის ასხლეტას.

რეკომენდაცია. მწვრთნელს შეუძლია ბურთი გაგზავნოს ძლიერად, შორს და განზე, ხოლო მეკარეს შეუძლია მიეახლოვდეს კედელს, რათა შეამციროს რეაგირების დრო.

ვარჯიში 94

ამოცანა. სხვადასხვა სიტუაციები დარტყმის მოგერიებისა და ბურთის გდებისას.

ორგანიზაცია და შინაარსი. ორი გადასატანი კარი (სასურველია ბადით) დგება ერთმანეთისგან 9-15 მეტრის დაშორებით. კარში თითო მეკარეა, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ბურთების საკმარი რაოდენობა. თითოეული გოლკიპერი გამოდის ცოტა წინ თავისი კარის ბირთან ხაზიდან, ტყორცნის ბურთს საპირისპირო კარში, ცდილობს რა მის დალაშქრას. მეორე მეკარე იღებს თავის კარს და თავის მხრივ ცდილობს ასევე აიღოს საპირისპირო კარი. ვარჯიში გრძელდება ასეთ რიტმში.

ინვენტარი. ორი გადასატანი კარი, ბურთების საკმარ რაოდენობა.

რეკომენდაცია. მეკარეს შეიძლება მიეთითოს, რომ ძლიერად ტყორცნოს ბურთი, რათა ამაღლებს იღებოს ათოვების ხარისხი. მწვრთნელს შეუძლია მისცეს დავალება, რომ ბურთი გაიგზავნოს რომელიმე განსაკუთრებული ხერხით (მაგალითად, დაბლიდან ან ზედა ბიელის კუთხეში), რაც შესაძლებლობას იძლევა დამუშავდეს ბურთების მოგერიების ყველა ზ განსხვავებული მომენტები, რაც გვხდება სათამაშო პრაქტიკაში.

ვარჯიში 95

ამოცანა. კარის კუთხიდან ბურთზე გამოსვლა, პოზიციის შერჩევა, დარტყმის მოგერიება, ბურთთან უფრტორად ერთიერთობის უნარი.

ორგანიზაცია და შინაარსი.



ორი გადასატანი კარი (სასურველია ბადით) დგება ერთმანეთისგან 9-15 მ. დაშორებით. თითოეულ კარს იცავს ორ-ორი მეკარე, რომლებსაც გააჩნიათ საკმარ რაოდენობის ბურთები. ერთი მეკარე ტყორცნით ან დარტყმით ცდილობს აიღოს საპირისპირო კარი. მეკარეები, რომლებიც იგერიებენ ტყორცნას ან დარტყმას; იკავებენ კარის ცსაფრთხოების შესაფერის პოზიციას. ამ მოქმედებას ისინი იმეორებენ მორიგეობით.

ინვენტარი. ორი გადასატანი კარი, ბურთების საკმარ მარაგი.

რეკომენდაცია. აგრესიული დარტყმები, რაც მეკარისთვის იწვება არა მხოლოდ კარგი ვარჯიში, არამედ, იმავდროულად, დაეხმარება მას სრულყოს დარტყმის ტექნიკა და ძალა, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე მეკარისთვის.

მაკაროვი კუპი

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო" №7-35

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

VIII ტური

ეპიზოდი, ინსპექტორები, ასპარეზი

დილა-მერანი-ოლიმპი. მსაჯები — პ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი, ქ. თბილელი, ი. კახიანი, ინსპექტორი — ა. მილორკა, დირექტორი — ს. კოტრიკაძე.

მეტალურგი — მილანი. მსაჯები — ა. შალამბერიძე, ა. სამხარაძე, გ. ცირდავა, ს. ქავაკიფელი, ინსპექტორი — ვ. ეგიაძა, დირექტორი — გ. სორდია.

დინამო (ბთ) — გორდა. მსაჯები — ა. შილაკაძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, გ. კიკაძეშვილი, ინსპექტორი — ზ. პეტრაშვილი, დირექტორი — დ. ქლიბაძე.

დინამო (თბ) — ლოკომოტივი 1913. მსაჯები — მ. მალაღურაძე, ლ. მიქელაძე, ლ. სილაგაძე, მ. მისიურაძე, ინსპექტორი — რ. ჩილაჩავა, დირექტორი — გ. როსტომაშვილი.

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია. მსაჯები — ა. მეშვილი, ზ. მენთეშაშვილი, გ.ჩიგოგიძე, ა. ორენტიძე, ინსპექტორი — ო. გუნთაძე, დირექტორი — ნ. კაკულია.

ტორპედო - სიონი. მსაჯები — ლ. ფანასაშვილი, მ. ელიაშვილი, ზ. ჯუღაძე, ქ. მესხი, ინსპექტორი— ვ. სილაგაძე, დირექტორი გ. კატაშვილი.

ვიზიტის პროგრამა დაკმაყოფილებულია

გადაწყვეტილია, ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი თბილისში ჩავიდა. იგი, როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, ორდღიანი ვიზიტით გვესტუმრა. საქართველოში სომხეთიდან, 23 მაისს ჩამოვარდნილ 17 საათზე. დაბინავება სასტუმრო „მარიოტში". 18.30 საათზე ფიფას პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიიღებს. საღამოს გაიმართება ოფიციალური ვახშამი. **24 მაისს 9.30 საათზე, დღეთ მოეწყობა ბასა ღოდობერძის სახელობის საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის გახსნის** ცერემონია, შემდეგ ბლატერი ფიფს ახალ ოფისს ეწვევა, დაათვალიერებს „ლოკომოტივის". სტადიონს, სადაც დაგეგმილია მისი მონაწილეობით პრესკონფერენციის ჩატარება. ვიზიტის ბოლოს, სტუმრის პატივსაცემად, სადილი გაიმართება, რის შემდეგ ფიფას თავკაცი საქართველოდან გაემგზავრება.

აქვე გაუწყებთ, რომ რამდენიმე ხანში გაიხსნება ქარაგული სპორტისა და ქართული ფეხბურთის გამოჩენილი მოღვაწეების კახი ასათიანისა და ნოდარ ახალკაცის მემორიალური დაფები.

საკონტროლო კომიტეტის სხდომაზე

„დინამოს" ფულადი საჯარიმო

„ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" ეროვნული პირველობის მეშვიდე ტურის უმთავრესმა და გახმაურებულმა მატჩმა კომიტეტის წევრებს საფიქრალი გაუხანა და თუ დინამოელთა გამოამაშებლის ანჩაბაძის ორი ყეთილი ბარათის გამო გაქვავებს საკთხი და სასჯელის ზომა ადვილად გადაწყდა და განსახილველად, მატჩის შემდგომ მომხდარი ფაქტი დიდხანს მსჯელობის საგნად იქცა.

თამაშის დასრულებისთანავე დინამოელები მთავარ მსაჯს კახაბერ მესხს მისცივდნენ და „საქმის გარჩევა" დაუპირეს. მატჩის კომისარისა და მსაჯის პატაკით კი ის გამოჩნდა, რომ ყველაზე მეტად დინამოელი ოთარ ხაზარაშვილი აგერიებოდა, რომელმაც მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფა სცადა, ხოლო კლუბის ხელმძღვანელთა ერთმა ჯგუფმა — ისიანმა, კორინაძემ და ლაცაბიძემ, არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ყველას მიმართ, თავად კლუბსა ფულადი საჯარიმო სანქციები მიიღო. კომიტეტის სხდომაზე დამსწრე დინამოელთა სპორტულმა დირექტორმა გიგი ნოღაიმ ფეხბურთელ ხაზარაშვილის ერიმანჭინან დისკვალიფიკაციაც მოითხოვა. სფ-ს „დისციპლინარებმა" „დინამოს", თავადაც დაადგი ფულადი ჯარიმა. კლუბი 1500 ლარს გადაიხდის, ხელმძღვანელთა „თაგამოჭრილნი" ზემოთაბმულები სამეულიც არ დაიეიწყა და მათაც 100-100 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევთ. ხაზარაშვილის ბედი კი კომიტეტის წევრებს შორის კენჭისყრამ გადაწყვიტა. ხმები თანაბრად გაიყო, ნაწილი მის ერიმანჭინან დისკვალიფიკაციას მოითხოვდა, მეორენი ამის საფუძველს ვერ ხედავდნენ, ბოლო სიტყვა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარეს ომარ გოგიაშვილს ეკუთნოდა. გადაწყვეტილება კი ასეთია: სადისციპლინო კომიტეტმა ხიზანიშვილს სასჯელი არ გამოუტანა. **დინამოელი ანჩაბაძე კი ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის.**

P.S. სადისციპლინო კომიტეტის ხაზარაშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება გაპრობატება ფეხბურთის განვითარებისა და შეჯიბრებების დეპარტამენტმა, რომელმაც ოფიციალური წერილით უმალვე მიმართა სფ-ს აპარელაციო კომიტეტს, რომლის სხდომაც დღეს გაიმართება სფ-ში.

სადისციპლინო კომიტეტის ზემოხსენებულ სხდომაზე სხვა საკითხებიც განიხილეს: არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ორ-ორ მატჩიანი დისკვალიფიკაციით და 100-100 ლარიანი ჯარიმით დაჯარეს ვიტესელები გიორგაშვილი და კოლი ხარსია. ქუთაისის „ტორპედოდან" დაიხრნენ მთავარ მწვრთნელ შტელინს კომიტეტის 100 ლარიანი ჯარიმა გზაში დაეწია. მსაჯთან ამპათისთვის გაფრთხილებულმა მატჩეიმენ ტაში დაჰკრა გამხატა, რისთვისაც გაამეცა. იგი ორ მატჩს გამოტოვებს და 100 ლარს გადაიხდის. „მალაროელი" — „შუშატის" მატჩში გამეცებული მალაროელი ბრეგვაძეს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 100 ლარის ჯარიმა გამოუწერეს. ქიათურის სტადიონის ხელმძღვანელები კი მკაცრად გაიფრთხილეს და მატჩებისს წესრიგის დაცვა მოსთხოვეს. ჰაბესკა ლიგის გუნდების „ჭიაურეულოსა" და „ოდიშის" შეხვედრაში, მეტოქე გუნდების ფეხბურთელები ჯოჯუა და ზოიძე ერთმანეთში შეკამათდნენ, რისთვისაც მსამა ორივე გაამეცა. ისინი 3-3 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი. შეხვედრის მთავარ მსაჯს შეგიძია „ოდიშის". პრეზიდენტმა რაფიელ ფარცხანიმ. კომიტეტმა იგი მკაცრად გაფრთხილა და თუ იგივე შემდგომშიც გაიმეორა, დისციპლინის პრეზიდენტობიდან მისი გადაყენების საკითხს.

კლუბებისა და მწვრთნელთა ლიცენზირების რეალობანი

ადრეც გაუწყეთ, რომ ფიფამ სფ-ს წესდება ხაბოლოოდ დაგამტკიცა, უფრო კი სფ-ს მიერ მომზადებული კლუბების ლიცენზირების ეროვნული სისტემა რეგისტრაციაშე გაატარა.

დღეს უკვე რეალობაა, ლიცენზიის მიღება ყველა კლუბისთვის აუცილებელია. იგი რამდენიმე კრიტერიუმს ითვალისწინებს, მათი შეუსრულებლობა კი კლუბს ფუნქციონირების გაურთულებს. რამდენიმე თვეში ამოქმედდება ლიცენზირების სისტემა, რომლის მიღებისთვის კლუბმა რამდენიმე მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს — ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ფინანსირება, ბავშვთა ფეხბურთისა და მწვრთნელთა მომზადების. ლიცენზირებულ კლუბში ასევე ლიცენზირებული მწვრთნელი უნდა მუშაობდეს. ამასთან, კლუბს მინიმუმ სამი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა გუნდი უნდა ჰყავდეს, საღაც B კატეგორიის მწვრთნელებმა უნდა ამუშაონ. დღეისათვის, საქართველოში ბავშვთა ფეხბურთში დასაშვებელია ფეხბურთის 53 ლიცენზირებული სპეციალისტი. შარშან დაწყებული B კატეგორიის მწვრთნელთა მომზადება ისევ გაგრძელდება და ახალი მეცადინეობები, ახალი კონტიგენტისთვის სულ მალე, ორშაბათს, 19 მაისს დაიწყება. B კატეგორიის მიღების მსურველ მწვრთნელს ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს. შემდეგ უნდა გაიაროს 120 საათიანი კურსები, ჩაბაროს სალიცენზიო გამოცდები. სულ ცოტა, ერთი წელი უნდა იმუშაოს სპეციალობით. მერე კი შეიძლება გაიაროს A კატეგორიის კურსები. სულ მალე საქართველოში გაცემულ ლიცენზიას საერთაშორისო კატეგორია მიენიჭება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კლაუს აუგენთალერს „ბაიერის" ბედი მიანდვეს

ლეგენდარული „ბაიერის" ამ სეზონში უკვე მესამედ გამოიცვალა მთავარი მწვრთნელი. „ბაიერი", რომელიც ამ ცოტა ხნის წინ „შიშის ხარს სცემდა" ევროპულ საფეხბურთო სამყაროს, ახალ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეა და თუ რაიმე არ იცვლა, გაიხად მეორე ბუნდესლიგაში მოუწევს ასპარეზობა. იანვარში გუნდის სათავეში მოვიდა ტომას ჰარსტერი, რომელიც ამაოდ ცდილობდა „ბაიერის" წაწევას სატურნირო ცხრილის უკანასკნელ, ორთოფ დღის წინ კი მანაც ჩაიქნია ხელი და პოსტიდან გადადგა. ახალ „ბაიერის" ბედი კლაუს აუგენტალერს მიანდეკს. ამ უკანასკნელ-ის წინაც საკმაოდ რთული ამოცანა დგას: ბუნდესლიგის დარჩენილი ყველა შეხვედრა უნდა მოიგოს, არადა, ჩემპიონატის დასასრულამდე არცთუ ისე ბევრი დარჩა.

კლაუს აუგენტალერი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი გახდა გერმანიის ფეხბურთის ნაკრებში შემდეგ-ში. მას სამწვრთნელო გამოცდილება ჰარსტერზე შედარებით ნაკლები აქვს. ამ სეზონში, ის წვრთნიდა „ნიურნბერგს", საიდანაც არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გააძევეს.

სანტერესოა, რომ კლაუს აუგენტალერი მაინც დარჩება ლეგენდარულ „ბაიერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე თუ არა, ეს გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდება.

ისლანდიის ნაკრებს ორი მწვრთნელი ეყოლება

ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ, დაკავებული თანამდებობიდან გადადგა ისლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანტი ვედალდსონი. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მალევე გამონახა მისი შემცვლელები. დიახ, — ისლანდიის მთავარ გუნდს უხელმძღვანელებს მწვრთნელთა დუეტი ლოგი ოლაფსონისა და ასგეირ სიგურვინსონის შემადგენლობით, მათი დებიუტი შეხვედრა 7 ივნისს, როცა ისლანდიელები ეთამაშებიან ფარერის კუნძულების ნაკრებს.

«უემბლის» ბრაზილიელები «გახსნიან»

განახლებულ ლეგენდარულ სტადიონს „უემბლის" ინგლისისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი გახსნის, თუმცა, ეს მოხდება... სამი წლის შემდეგ, — სტადიონის რეკონსტრუქცია 2006 წლისთვის არის დაგეგმილი.

ვილმოტსი ტოვებს „შალკეს"

სეზონის დასრულებისთანავე საფეხბურთო კლუბ „შალკეს" დატოვებს გამოცდილი

ევერესტის დაპყრობის 50 წლისთავთან დაკავშირებით...



ლეგენდარულ ალპინისტთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც არიან ედმუნდ ჰილარი, ჯუნკო ტაბეი, რენნგბოღე მესნერი, გადაწყვიტა, საზეიმოდ აღინიშნოს მწვერვალ ევერესტის დაპყრობის 50 წლის იუბილე. სწორედ ედმუნდ ჰილარმა თენზინგ ნორგისთან ერთად 1953 წლის 29 მაისს დალაშქრა ევერესტი. ჯუნკო ტაბეი იყო პირველი ქალი, რომელმაც ფეხი შედგა დედამიწის უმაღლეს წერტილზე. ხოლო მესნერმა ქანებადის ბალონების გარეშე მიაღწია 8850 მეტრ სიმაღლეს.

იუბილესთან დაკავშირებით, ნეპალში ჩატარდება დიდი საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე ალპინისტი მიიღებს.

ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორის დამოძარ რანის განცხადებით, ფესტივალს დაესწრება სახელოვანი ალპინისტი შერპა ბა, რომელმაც 12-ჯერ დალაშქრა ევერესტი.

მუსტერი ბრუნდება

ავსტრიელი ჩოგბურთელი თომას მუსტერი ოთხწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ უბრუნდება დიდ ჩოგბურთს. მან ტელეარხ „ოურ-უფ-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და ძალუძს წარმატებით თამაშები. ერთი კი, რომ თომას მუსტერი არ ითამაშებს ტურნირებში, არამედ ვეტერანებს გაუვლობრება. მაგალითად, მომდინარე წლის 12 აგვისტოს დაეკვიდება სახვენებელი მატჩი მუსტერსა და ფრანც ანრი ლეკონტს შორის.

ჩიპოლინის რეკორდის დამყარებაში ხელი შეუშალეს

„ჯირო დ'იტალიის" მეხუთე ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა სანტმატერებმა გადაწყვიტა. ალესანდრო პეტაკიმ წამხე ფურო ნაცვლები დროით გადაუწერო ლეგენდადმეულ მარიო ჩიპოლინის. ეს იყო პეტაკის მეორე გამარჯვება მიმდინარე სეზონში. ის სიერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილზეა, რაც შეეხება ჩიპოლინის, ამ უკანასკნელმა ჯერჯერობით ვერ შეძლო რეკორდის დამყარება და როგორი 41-ე ეტაპის მოგება.

„მე ჯერჯერობით არ ვარ საუკეთესო ფორმაში პეტაკი ძალიან ძლიერი მეტოქეა. გარდა ამისა, ამ ეტაპის ბოლო მეტრების გაკლისას ჩემი ბორბალი ობრძანი ობრძანი ჩავარდა და ამანაც გამოწვია პეტაკის გამარჯვება", — განაცხადა ჩიპოლინიმ.

NBA

„ნიუ ჯერსის" „ბოსტონი" „სახამპრალი" დაჯოვა

კლუბმა „ნიუ-ჯერსიმ" ნბა-ს აღმოსავლეთ კონფერენციის ყველა ნახევარფინალური შეხვედრა მოუგო „ბოსტონს". მეოთხე შეხვედრაში „ნიუ-ჯერსის" უპირატესობა 9 ქულით გამოხატა – 110:101. საინტერესოა, რომ მატჩის ბედი... მეორე ოვერტაიმში გადაწყდა. ძირითად დროს ფრედ დანსურეის შემდეგ „ბოსტონს" შეეძლო გამარჯვების მოპოვება პირველ დამატებით ტაიმში, მაგრამ ბოლო მომენტში გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პირსმა სამქულიანი ხრლა გააცუდა და მასპინძის საფინალო სასტვენის შემდეგ ტაბლოზე ანგარიში კვლავ თანაბარი იყო. – 97:97.

მეორე ოვერტაიმში „ნიუ-ჯერსის" წამყვანმა მოთამაშემ ჯეისონ კიდმა გაიბრწყინა მოედანზე. მან რამდენიმე შტეკვა წარმატებით დაასრულა და ლიმის წილი დაიდო თავის გუნდის გამარჯვებაში. მოეკი მატჩის განმავლობაში კიდმა 29 ქულა მოაგროვა და 9 შეგებრივი გადაცემა გააკეთა.

„ბოსტონის" შემადგენლობაში კი შედეგიანი პოლ პირსი იყო, რომლის ანგარიშზეც 27 ქულაა.

საინტერესოა, რომ ასეთი მშრალი ანგარიშით (4:0) ფლეი-ოფის მატჩების სერია „ნიუ-ჯერსიმ" თავის ისტორიაში პირველად მოიგო, ხოლო „ბოსტონს" ასეთი შემთხვევა ბოლო ოცი წელია, არ ჰქონია.

ნბა-ს აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში „ნიუ-ჯერსი" დაუპირისპირდება „დეტროიტსა" და „ფილადელფიას" შორის გამარჯვებულს.

«დეტროიტი» დაწინაურდა



ნბა-ს რეგულარული ჩემპიონების მეოთხედფინალური ფლეი-ოფის მეხუთე მატჩში „დეტროიტმა" შეძლო „ფილადელფიის" დამარცხება და მატჩების სერიაშიც დაწინაურდა — 3:2.

დეტროიტელებმა თავისუფლად თამაშის საშუალება არ მისცეს ალენ ივერსონს, რომელსაც ქამპიონატში 32 ქულა მოჰქონდა. „ფილადელფიასთვის" თითოეულ მატჩში. ამჯერად, „ფილადელფიის" ლიდერმა მხოლოდ 14 ქულა მოაგროვა, რამაც განაპირობა კიდეც „დეტროიტის" წარმატება — 78:77. დეტროიტელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ჰამილტონი — 20 ქულა. მორიგი, მეექვსე მეჯვედრა შაბათს შედგება.

რეი ალენი – ნბა-ს ჯენტლმენი

„სიეტლის" კალათბურთელი რეი ალენი მიიღებს ჯო დუმარსის სახელობის ჯილდოს მოედანზე სამაგალითო მოქმედებისათვის. დიახ, ალენი მთელი სეზონის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად ჭარიმდებოდა, რომ იტყვიან, „სუფთად" თამაშობდა.

„მთელი ცხოვრება „სუფთად" უნდა გაატარო. საკალათბურთო მოედნებზე მაშინაც კი, როცა თავგანწირული ბრძოლა გამართული. გარკეული პატივისცემით უნდა მოეპყრათ თანაგუნდელებსაც და მოწინააღმდეგე გუნდის წევრებსაც," — აზრობს რეი ალენი.

გულშემატკივარს მუშები უთავაზა

ბოსტონის პოლიცია და ნბა-ს ხელმძღვანელობა აწარმოებენ გამოძიებას რამდენიმე დღის წინ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, როცა კლუბ „ბოსტონის" მოთამაშემ ანტუან უოკერმა ფლეი-ოფის ერთ-ერთი მატჩის დროს მუშები უთავაზა გულშემატკივარს. 43 წლის მაფუებელი ნოდოდნი ჩავარდა. წინასწარი მონაცემებით, გუდშემატკივარი საფარელი კლუბის — „ბოსტონ სელტიკსის" სათადარიგოთა სკამის ქვან, ბრძოლის პირველ რიგში იყო. როგორც ჩანს, მან რაღაც „კომპლიმენტი" გაუგზავნა სათადარიგოთა სკამზე მჯდომ უოკერს, ტრიბუნიდან ყველამ დაინახა, თუ

როგორ წამოიმართა ორმეტრიანი გოგანტი და საცემად ეცა გულშემატკივარს. ფაქტი ტელეკამერითაც დაფიქსირდა. უახლოეს დღეებში გაირკვევა უოკერის ბედი.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲙᲛᲝᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ

16 მაისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. „ჭარმოული ფეხბურთი" (14.45), *HTB плюс футбол.* ლიბერტადორესის თასი. მერეციფინალი: ბრაზილიის „პალისდუ" — არგენტინის „ბოკა ხუნიორსი". საპასუხო მატჩი, პირდაპირი ტრანსლაცია (5.35, 13.20, 0.00), „ფუტბოლ მუნდიალი" (15.05), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.35), „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი" (16.45, 19.20), სერია „ა". 33-ე ტურის წინ (21.25), მოლდავეთის ჩემპიონატი. „შერიფი" — „ზიმბრუ". პირდაპირი ტრანსლაცია (21.55), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.50), *HTB плюс спорт.* ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (4.00, 11.45, 0.15), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (14.15), ჩოგბურთი: მიმოხილვა (15.20), „მასტერს სერიზე" (18.00, 22.30), ტაილანდური კრივი (16.55). *EUROSPORT.* ჩოგბურთი „ატა". მეოთხე დღე (11.30, 16.00, 21.45), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 17-წლამდე შორის. ნახევარფინალები (14.30), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. მე-6 ეტაპი (19.00), კრივი. სპეციგამოშვება (1.45).



17 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის კიდის მიმოხილვა (19.15), *ამედი.* ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია „ა": პირპაპირი რეპორტაჟი. პირველი ტაიმი (18.00), მეორე ტაიმი (19.00), იტალიის ჩემპიონატი. სერია „ა" (23.30, 0.30). *HTB плюс футбол.* მოლდავეთის ჩემპიონატი. „შერიფი" — „ზიმბრუ" (13.15), სერია „ა" 33-ე ტურის წინ (15.30), საერთაშორისო ტურნირი „ალენი ლობანოვსკის თასი". ფინალი (16.15), „ფუტბოლ მუნდიალი" (17.55), გერმანიის ჩემპიონატი (18.25, 22.30), მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. 1-ლი მატჩი (21.10), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი (0.25), *HTB плюс спорт.* კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (4.00, 11.45), ჩოგბურთი. „მასტერს სერიზე". ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00), ბრძოლა წესების გარეშე. სამატჩო შეხვედრა რუსეთსა და აშშ-ს შორის. (20.00), საცხრნოსნო სპორტი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან (2.30). *EUROSPORT.* ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მერეციფინალი (12.00), კრივი. სპეციალური გამოშვება (14.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები. 80-90-იანი წლები (15.30), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. მე-7 ეტაპი (19.00), ჩოგბურთი „ატა". მეორე ნახევარფინალი (20.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 17 წლიანთა შორის. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (21.30), კიკ-ბოქსინგი (23.30), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (3.15).

18 მაისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია, I არხი. ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დასკვნითი ტური. თბილისის „ლოკომოტივი" — თბილისის „ვიტ-ჯორჯია". რეპორტაჟი „ლოკომოტივ"-სტადიონიდან (18.00), *მე-9 არხი.* „საოცარი სპორტი" (17.50), „მსოფლიო ფეხბურთი (19.30), *HTB плюс футбол.* გერმანიის ჩემპიონატი (12.25), „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (15.05), 3 ოლანდიის ჩემპიონატი. „ფეიენორდი" — ჰსკ. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55), რუსეთის ჩემპიონატი. „სპარტაკ-ალანია" — ცსკა. ქალდაცყსკიდან (20.10), „ფუტბოლ მუნდიალი" (21.55), რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.25), იტალიის ჩემპიონატი (23.25), ესპანეთის ჩემპიონატი (1.25), *HTB плюс спорт.* ბადმინტონი: მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალები (11.45, ფინალები — 22.25), „დიდი რინგი" (20.00), ტაილანდური კრივი (1.40). *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 17-წლიანთა შორის. ფინალი (7.30, 17.15), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. მე-8 ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.30), თავისუფალი ორთაბრძოლები (23.00), სპორტული ორთაბრძოლები (0.00), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. გადაცემა გერმანიიდან (2.15).



ᲯᲕᲠᲘᲡᲬᲔᲠᲓᲘ № 36

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 3. საჰაერო ხტომის ინვენტარი, 7. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა, 10. საგანგებო სიტუაციისას დამხმარე რაზმის წევრი, 11. მწვერვალი სვანეთში, 13. რითიც ალპინისტები არიან ერთმანეთს ჩაბმულნი, 14. ქართველი ფეხბურთელი – ლეგიონერი, 16. მშვილდის ისრების ჩასაწყობი, 17. სპორტული სარბენელი, ანუ... 21. ძიუდოში წმინდა გამარჯვება, 22. ფეხბურთის თავგადამდებული გულშემატკივარი, 23. იძულებითი, ზარალიანი სვლა ჭადრაკში. 24. ილეთი ჭიდაობაში.

ᲖᲕᲘᲗ: 1. კალათბურთის ეროვნული ასოციაცია, 2. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 4. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 5. რაგბში საქართველოს ნაკრების რუსი მოთამაშე, 6. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატურა), 7. „რომას" ცნობილი ფეხბურთელი, 8. რუსთაველის „აზოტის" კალათბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი, 9. გოლათი ბერძნულ მითოლოგიაში, 12. ჰოკეის ბურთი, 14. ყველაზე ტიტულოვანი რუსი მოჭიდრაკე ვაჟი, 15. ტანვარჯიშული ინვენტარი კუნთების საარჯიშოდ, 18. ბრძოლა წესების გარეშე... 19. მოკრივეთა არენა, 20. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ №35-ᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 3. ჯიჯიშვილი, 8. „ჯენოა", 9. ვეა, 10. დარასელია, 11. ძალა, 13. ონონ, 15. მაცოცა, 16. თეა, 20. კორეა, 22. ნარდი, 23. ფიფა, 24. ნაგანო, 25. პაიკი, 26. ტრიატლონი.

ᲖᲕᲘᲗ: 1. „ხერტა", 2. „გორდა", 4. „ჭეოსელი", 5. შტილი, 6. ირეანი, 7. ისარი, 12.ლი, 14. „იატაკი", 17. „არარატი", 18. „კოდაკი", 19. „სკონტო", 21. „ოფი", 23. ფორა.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე დეპარტამენტის თანამშრომელს თეიურ გეგაძეს სიდედრის გარდაცვალების გამო.

საქადრაკო კუთხა

ლ. გაფრინდაშვილი
ს.ეიდი-ჰიტი (1992 წ.)

შაბათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამონახსნი:

1. მე1!

1. ...მფე5 2. მე3 მფd4; 3. მფ2 მფე5; 4. მh4 მფd4; 5. მ:h5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com